საინტერესოა, რომ უკვე კონფერენციის მუშაობის პირველ დღეებში გამოვლინდა და განსაზღვრა შეხების წერტილები მომავალი თანამშრომლობის მესახებ შეხვედულებებში. დიდი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის გამოსვლას. მან ილაპარაკა პერსპექტივაში ევროპის კონტინენტზე ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნის შესახებ, ანუ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ერთგვაროვანი გაგების, მათი კოდიფიკაციის შესახებ მორგებათა შეუშავების თაობაზე, თანამშრომლობის ახალი სფეროებისათვის სამართლებრივი ნორმების შემუშავების, უკვე შემუშავებულ მორიგებათა შესრულებისათვის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ქვეყნების ზრუნვის თაობაზე. ხოლო საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა ფ. მიტერანმა თავის გამოსვლაში წამოაყენა „ევროპის სამართლებრივი სახელმწიფოს“ იდეა. ეს ეხმიანება საბჭოთა ინიციატივებს „საერთო-ევროპული სახლის“ შექმნის შესახებ, და მნიშვნელოვანია ის, რომ დიალოგი ამ საკითხზე უკვე დაიწყო.

ბუნებრივია, პარიზის ფორუმზე, რომელზეც აღიძრა ისეთი დელიკატური საკითხები, როგორიც არის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების უზრუნველყოფა, ზოგჯერ ცხარე კამათიც იმართება, მაგრამ ამავე დროს გაისმის ბევრი დაკონსტრუქციული შეფასება-განცხადებანი, რომლებიც მოწმობს, რომ ფორუმის მონაწილენი უგებენ ერთმანეთს, ბევრნი, მათ შორის ამერიკის დელეგაციის მეთაური, ელჩი მორის ეიბრამი, აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ დარგში „არსებითი, სენსაციური პროგრესი“ სსრ კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. შეხვედრაზე დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყირიმბის მიმდინარეობას, ხაზს უსვამენ, რომ მისი ყურადღების ცენტრში მწვავედ დგას სწორედ თავისუფლების, მშვიდობის პირობებში ადამიანის ცხოვრების უფლების საკითხები.

ბევრი საინტერესო იდეა და წინადადება გამოითქვა ფორუმის მუშაობის უკვე პირველ დღეებში. დაგვახსოვდა ჰანს ბრუნჰარტის, ლიხტენშტაინის ცენტრალური ევროპის ამ პაწაწინტელა ქვეყნის მთავრობის მეთაურის ბრძნული აზრი: „ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არის უცნობი ჯარისკაცის ძეგლები, როგორც სიმბოლო იმათი ხოვნისა, ვინც თავი დადო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომებში. ჩვენ მონუმენტი უნდა ავუგოთ უცნობ ადამიანს, რამეთუ ადამიანი, სამწუხაროდ, დღემდე რჩება სხვადასხვა მიზეზთა გამო დამცირებისა და რეპრესიების, ულმობელი ექსპლოატაციის ობიექტად“.

თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი...

აპრილის სისხლიანი კვირის უდანაშაულო მსხვერპლთა საყოველთაო გლოვის ჟამს ხალხმა ხიელული სასიკეთო მომავლის მაუწყებლად აღიქვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ეუმარიტად ეროვნული დღესასწაული.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა განხორციელდა ისეთ პირობებში, როცა ქართული მიწა-წყალი და მოსახლეობა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ასეთი ვითარებაში ახალი სახელმწიფოს შექმნისას წამოიჭრება ხოლმე როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ეს ორი სფერო მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამის გამო ჩვეულებრივ ერთობლივად განიხილება.

ძირითად საკითხებზე მსჯელობის დაწყებამდე მიზანშეწონილია ისევ გარემოების აღნიშვნა, რომელიც საერთო ფონის შესაქმნელად გამოდგება.

საქმე შეეხება ფრიად საგულისხმო კანონზომიერებას, რომელიც თავს იჩენს ქართული სახელმწიფოებრიობის ზრვალსაუკუნოვან ისტორიაში. ესაა საქართველოს სახელმწიფოს წყვეტილად განვითარების ტენდენცია, მისი მოშლა და აღდგენა დიდი სოციალური ძვრების კვალობაზე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებები, სოციალური კატაკლიზმები საბედისწერო იყო ხოლმე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ფარნავაზიანთა დინასტიის ეპოქის ქართული სახელმწიფოებრიობა, იმდროინდელმა სოციალ-ეკონომიკურმა წყობილებამ წარტანა და ქართლში მეფობა გაუქმდა. სახელმწიფოებრიობა აღადგინეს ქართველმა ბაგრატიონებმა ახალი ფორმაციის — ფეოდალიზმის აღმავლობის ხანაში. ფეოდალიზმის რეგრესს შედეგად მოჰყვა ბაგრატიონთა დინასტიის მოშლა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას ორივეჯერ უცხო, გარეშე ძალამ დაუსვა წერტილი. პირველ შემთხვევაში ესენი იყვნენ სპარსელები, მეორეჯერ კი რუსეთის თვითმპყრობელობა. კოლონიურ ვითარებაში ჩამქრალი ქართული სახელმწიფოებრიობა მაშინვე აღდგა, როგორც კი მას 1918 წელს ამის შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ დიდმა სოციალურმა ძვრებმა, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გავრცელების პროცესმა კვლავ ენინაღმ გადაიყოლა სიმწრით აღდგენილი ქართული სახელმწიფო. კაცმა რომ თქვას, მისი ბედი ბეწვზე ეკიდა — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ქართველი ბოლშევიკები ხომ იმ პერიოდში თავგამოდებით იბრძოდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობისათვის და მოითხოვდნენ საქართველოს ძველებურად შესვლას რუსეთის შემადგენლობაში.

დღესაც ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების, საქართველოს ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემა დიდ სოციალურ ცვლილებებს — საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციას და გარდაქმნას დაუკავშირდა. სწორედ აქ პროცესმა დააყენა დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ახლებურად გააზრებისა და ობიექტურად შეფასების პრობლემა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას წინ უძღოდა რამდენნიმე წინასწარი აქცია. მათი გათვალისწინებისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე უმართებულო იქნებოდა 1918 წლის 26 მაისის აქტზე მსჯელობა.

თვითმპყრობელობის დამხობისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარება რუსეთისაგან თანდათანობითი ჩამოცილების გზით წარმართა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთთან მიმართების თვალსაზრისით არსებითად არ შეუცვლია. ამ პერიოდში პოლიტიკური გაგებით სახელი „საქართველო“ კვლავ უგულებელყოფილია. ქართული მიწა-წყალი ისევ რუსეთის ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებშია გათქვეფილი. ოღონდ ახლა იგი რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოს — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის გამგეობლობას დაექვემდებარა. კვლავაც გრძელდება საქართველოს ის უუფლებო პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მას განესაზღვრა XIX საუკუნის დასაწყისიდან, — მას შემდეგ, რაც ცარიზმმა მოხერხებულად ისარგებლა ქართულ-ჯახეთის სამეფოს უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობით, გაუუქმა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა რუსეთს შეუერთა.

რუსეთთან საქართველოს ამგვარი დამოკიდებულება 1917 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას — ბოლშევიკური სახალხო კომისართა საბჭოს. ეს აქტი მოასწავებდა რუსეთის შემადგენლობიდან საქართველოს ფაქტობრივ გამოყოფას და ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში გაერთიანებას. ასეთი სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსი განამტკიცა ხსენებული კომისარიატის მიერ მოწვეულმა სამხარეო სეიმმა, რომლის გადაწყვეტილებითაც 1918 წლის 9 (22) აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა.

ამ ფედერაციული რესპუბლიკის ამიერკავკასიის ამ ფედერაციული ბუნების საკითხები. იგი ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემას უკავშირდება. ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება იურიდიული თვალსაზრისით მეტად თავისებური და რამდენადმე უცნაურიც კი იყო. საქმე ისაა, რომ ფედერაცია სახელმწიფოებს, სახელმწიფოებრივი ერთეულებს გაერთიანებაა. ამიერკავკასიაში კი ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოები. ასე რომ, ამიერკავკასიის ამ სახელმწიფოს მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს ფედერაცია. არსებითად იგი სახელმწიფოების კი არა, არამედ მარტოოდენ ერების შეკავშირებას — ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი იყო გარდამავალი საფეხური რუსეთისაგან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გამოყოფისა და შესაბამისი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენის გზაზე.

ამგვარად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უმალვე გადაიდგა ორი მკვეთრი ნაბიჯი რუსეთისაგან მთელი ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული გამოყოფის მიმართულებით. სწორედ ამ წინასწარმა ნაბიჯებმა შეამზადეს ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, რაც ამიერკავკასიის ზემოაღნიშნული ხელოვნური ფედერაციული რესპუბლიკის ოცდათხუთმეტდღიანი არსებობის დასასრულის დღესვე — 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა.

ამიერკავკასიის იმდროინდელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა იმპერიული მართვა-გამგეობის, ძველი სამეფისნაცვლის გაქოქახლის წარმოადგენდა. იგი იმ პერიოდის ანარეკლი იყო, როცა ამიერკავკასია საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად კი არა, არამედ ერთ მთლიან გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად აღიქმებოდა. იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არაა გააზრებული ამიერკავკასიაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ეროვნული თვალსაზრისით ამიერკავკასის სახელმწიფოს შექმნა არაფერ არსებითს არ განსაზღვრავდა. მაგრამ მაშინ სხვა გზა არც არსებობდა. ეს იყო უეცარი, აუცილებელი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც საერთაშორისო ფაქტორმა — ოსმალეთთან ურთიერთობამ განსაზღვრა. ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო მასთან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მოლაპარაკება. სწორედ აქ, ამ მომენტში გამოიკვეთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პრობლემა. მოლაპარაკების პროცესში გამოჩნდა ამიერკავკასიის შიგნით ინტერესების სხვადასხვაობა. ცხადი გახდა, რომ საქართველოს მიწა-წყლის მთლიანობა, მისი სასიცოცხლო ინტერესები ისე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუკი იგი თვითონ არ იქცეოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. მას უშუალოდ უნდა გაემართა მოლაპარაკება ოსმალეთთან. ამისთვის კი აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა. ამის შესაბამისად საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს უნდა გადაესინჯათ თავიანთი ეროვნული პროგრამა, უარი უნდა ეთქვათ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის იდეაზე. ეს კი გადაეჯაჭვა ერთმანეთს წმინდა სახელმწიფო-სამართლებრივი და პოლიტიკური აზრვენების სფეროები. საქმე ისე წარიმართა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეროვნული სახელმწიფოს შექმნა არსებითად საერთაშორისო-სამართლებრივმა ვითარებამ განაპირობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხები: ჰქონდა თუ არა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის უფლება? რამდენად მართლზომიერია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა? როგორ მიმართებაშია 1918 წლის 26 მაისის აქტი 1783 წლის ხელშეკრულებასთან, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატთან, რომელიც აწესებდა საქართველოს „საუკუნოდ“ ყოფნას რუსეთის მფარველობაში?

აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტრაქტატი ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და რუსეთის მხრივ მისი არსებობის უზრუნველყოფას. ტრაქტატის მიხედვით საქართველო არ წარმოადგენდა რუსეთის შემადგენელ ნაწილს. მას შენარჩუნებული ჰქონდა დამოუკიდებელი შინაგანი მმართველობა და შეზღუდული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. ტრაქტატის დამდები მხარეები აღიარებდნენ, რომ „უკეთუ განხილულ იქნეს რაიმე საქიროდ შეცდომადად... აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა“. მაშასადამე, ამ ხელშეკრულების შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ ორივე მხარის, ე. ი. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთშეთანხმებით შეიძლებოდა.

ასეთი იყო 1783 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების უცილობელი პირობები. მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ რუსეთის მხარემ მიუტევებლად, უხეშად დაარღვია ხელშეკრულება, თვითნებურად, ცალმხრივად შეიცვალა მისი პირობები და ქვეყნის სრული ანექსია მოახდინა. მან ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა არ იკმარა და საქართველო ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახით არსებობაც კი არ არგუნა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა საერთოდ ტრაქტატზე და მის ყველა პირობაზე, უარეყო ნაძალადევი, თავსმოხვეული სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი რუსეთთან და დაბრუნებოდა ხელშეკრულებამდელ მდგომარეობას, ე. ი. ხელახლა შეექმნა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. იგი ასეც მოიქცა, როცა „ხალხთა საპყრობილად“ წოდებული იმპერიის რევოლუციური დამხობის შედეგად სამართლიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა.

ტრაქტატის დარღვევის ფაქტი და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები, ეტყობა, დიპლომატიური მოსაზრებებით, არაა ფიქსირებული, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტში. ამ დამფუძნებელი დოკუმენტის მიხედვით დამოუკიდებლობა ცხადდება შემდეგი გარემოების გამო: „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა“; „რუსეთ ჯარმა“ კი „დაუტევა ამიერკავკასია“, საქართველო დარჩა „თავისი ძალოსნის ამარად“ და ამიტომ იძულებულია „საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეექმნას“. ასეთი რბილი რედაქცია ალბათ შერჩეული იყო იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოსალოდნელი გაფწვავება. ის კი მაინც უნდა ითქვას, რომ 1783 წლის ტრაქტატის დადება, დოკუმენტისეული გაცხადების საწინააღმდეგოდ, არ ნიშნავდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამიტომ, ვფიქრობთ, მართებულად ვერ ჩაითვლება ის დებულება, რომ „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს... საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს“.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ 1917 წელსვე გამოაცხადა და საკანონმდებლო წესითაც განამტკიცა თვითგამორკვევის პრინციპი და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლება, რაც, ცხადია, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნაგულისხმევ ... ლა, გაუქმდა ძველი სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა. აღნიშნული ხელშეკრულებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ურთიერთობას საერთაშორისო-სამართლებრივ საწყისებზე. სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა მეტად ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ ეს უკვე სცილდება წინამდებარე წერილის ფარგლებს.

ყურადღება მიექცეს საკითხის იმ მხარეს, თუ როგორ წარმართა სახელმწიფოებრივი მშენებლობა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. იმთავითვე დაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის განსაზღვრული პროგრამა. თანდათანობით ყალიბდებოდა ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები, იქმნებოდა საკმაოდ სრულყოფილი პარლამენტური რესპუბლიკა, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელი იყო ეროვნული სულისკვეთება.

სახელმწიფოებრივ მშენებლობას წარმართავდა დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე შექმნილი დამფუძნებელი კრება. აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელმა კრებამ თვით რუსეთშიც კი ვერ იარსება — იგი იქ მოწვევისთანავე დაითხოვეს. ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ, როგორც ქართველი ხალხის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, „ქვეყნისა და ისტორიის წინაშე“ აღიარა, სავსებით მიიღო და დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, შეიტანა იგი რესპუბლიკის კონსტიტუციაში და ამით მას უზენაესი იურიდიული ძალა მიანიჭა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო აპარატის გაკეთებულებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მიკუთვნება, რაც 1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში სპეციალური კანონის გამოცემით განხორციელდა. სწორედ ამ აქტის წყალობითაა, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს კანონმდებლობაში და დღესაც ასახულია საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში.

უაღრესად დემოკრატიულ საწყისებზე შემუშავდა საქართველოს ახალშექმნილი სახელმწიფოს კონსტიტუცია. ამ აქტის მომზადებისა და განხილვის პროცედურა პირდაპირ სანიმუშოა. პროექტი ცალკე ბროშურის სახითაც გამოქვეყნდა 1920 წლის ივნისში. იგი მუხლობრივ, ცალკეული ინსტიტუტებისა და თავების მიხედვით განიხილებოდა საჯაროდ, პრესაში და დამფუძნებელ კრებაში, ამ კონსტიტუციიდან ზოგი რამ ახლაც საგულისხმო და გასათვალისწინებელია. მაგალითად, საჯარო და აუცილებელია ჩვენს ახლანდელ ძირითად კანონში პირდაპირ სიტყვასიტყვით ამოსახსნა ამ კონსტიტუციის ის დებულება, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და გაუყოფელი სახელმწიფო“ (მუხლი 1).

საბოლოოდ მართებული იქნება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა 1918 წლის 26 მაისს სავსებით მართლზომიერ იურიდიულ აქტს წარმოადგენდა, რასაც, უნდა ითქვას, თვალსათლივ ადასტურებს მისი დე ფაქტოდ და დე იურედ გლობალური ცნობა მეტად მცირე დროის განმავლობაში. ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა საღ სამართლებრივ საფუძველს ემყარებოდა და სწორი გზით წარიმართებოდა. იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული იურიდიული აზროვნებისა და სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკის ისტორიული ნიშანსვეტი და წარუვალი მონაპოვარია.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის ოფიციალური აღიარება, რაც უთუოდ ისტორიული აუცილებლობა იყო, პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. ახლა მეცნიერთა და ფართო საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევით ობიექტურად უნდა გაირკვეს და სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყდეს მეორე პრინციპული საკითხი, რომელიც საქართველოსაგან წარგზავნილი დეპუტატების ჯგუფმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისადმი მიმართულ განცხადებაში წამოჭრა: „დაიგმოს 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ანექსია, როგორც თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოებს — დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უსინ დარღვევა“.

იაკობ ფუტკარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

თვალსაზრისი

...ეროვნული ...ოფელი

◆ ჩინეთი

...ვითარება კვლავ გამწვავდა

პეკინი. ერთი კვირის მოჩვენებითი სიმშვიდის შემდეგ ჩინეთის დედაქალაქში ვითარება კვლავ გამწვავდა.

გუშინ დილით სამხედრო ნაწილების ქვედანაყოფები შეეცადნენ მიიხლოებოდნენ ტიანმენის ცენტრალურ მოედანს, სადაც მჯდომარე გაფიცვას განაგრძობს რამდენიმე ათასი სტუდენტი. მაგრამ ისინი შეაჩერეს სტუდენტთა ჯგუფებმა და მხარის დასაჭერად მოსულმა დედაქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლებმა. ჯარებმა ძალის გამოუყენებლად უკან დაიხიეს.

ქალაქის მთავარ მაგისტრალზე — ჩანანძეს ქუჩაზე მოძრაობა შეწყვეტილია. პოლიციის რაზმები ტრანსპორტს არ უშვებენ ქალაქის ცენტრისაკენ. თუმცა ტიანმენის მოედნისაკენ ფეხით ან ველოსიპედებით მიდიან ხალხის ჯგუფები.

◆ აშშ

დენ კუეილის მოგზაურობა

**ვაშინგტონი. როგორც აქ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის თანამშრომლთა აპარატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, 11-14 ივნისს ვ

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღეა

ეკოლოგიური საჯაროობა საყოველთაოა

უამრავი ეკოლოგიური პრობლემა დაგვიგროვდა, ზოგი მათგანი ახლა სხვადასხვაობას არ იწვევს, ნაწილი კი ფართო დისკუსიის საგანია. ჩვენი გაზეთი შეძლებისდაგვარად ამუშავებს კიდეც ამ პრობლემებს, მაგრამ „ეკოლოგიური შიმშილი“ მაინც იგრძნობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგია-ბიოლოგიოლოგიის კათედრის გამგის, უნივერსიტეტის ეკოლოგიური ცენტრის თავმჯდომარის, პროფესორ გია ქაჯაიასთან დიალოგმა, იქნებ, ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი.

— ბატონო გია, დღეს ბევრი იწერება ეკოლოგიურ პრობლემებზე, მზადდება ეკოლოგიის რესპუბლიკური პროგრამა, რეფორმების საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ეკოლოგიური ალიანსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი ეკოლოგიური ცენტრი. რით უნდა აიხსნას საზოგადოების ამგვარი „ეკოლოგიური ინტერესი?“

— საქართველოს კარგა ხანია აწუხებს მწვავე ეკოლოგიური პრობლემები. პროცესი არ ნელდება, პირიქით, დღითი დღე მწვავდება. ერთია, რომ ამას სათანადო სახელმწიფოებრივი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ უფრო გულასაწყვეტი ის გახლავთ, რომ საზოგადოებაც ერთობ გულგრილი იყო ამ პრობლემისადმი. მეტიც, წარსული „ერის სასიკეთოდ“ გადადგმული ნაბიჯები დღეს იმდენ თავსატეხს გვიჩენს, რომ... დასკვნა ერთია: ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გარემოსთანაა დაკავშირებული, რა მნიშვნელობისაც უნდა იყოს, არ შეიძლება წყდებოდეს ცალმხრივად. იგი საჭიროებს ყოველმხრივ განხილვას; თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც ფართო პროფილის ბუნებისმეტყველებსა და ეკოლოგებს უნდა ეკუთვნოდეთ.

— თქვენი აზრით, რამდენად დამაკმაყოფილებელია ჩვენში ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და მათზე რეაგირება?

— გაიჩნია, რა პრობლემები გაქვთ მხედველობაში. ზოგი მათგანი გლობალურია და მთელ საზოგადოებრიობის განხილვის საგანს წარმოადგენს. შესაძლოა, პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ საჯარო განხილვის, დადებითთან ერთად, უარყოფითი მხარეებიც ახლავს ხოლმე. საქმე იმაშია, რომ ეკოლოგიურ პრობლემებზე ხშირად ისინი მსჯელობენ, ვისაც არაფერი აქვს საერთო ამ სფეროსთან. მიუხედავად ამისა, მათი მსჯელობა უფრო კატეგორიულია, ვიდრე პრინციპუსანი, ზოგჯერ კი სავსებით დაუსაბუთებელიც. არც თუ ისე იშვიათად გვესმის გამოთქმები: ჩატარებულია ეკოლოგიური ექსპერტიზა, მიღებულია ეკოლოგიური დასკვნა, შედგენილია ეკოლოგიური ალბომი და სხვა. საკითხავია, რამდენად რეალურია ყოველივე ეს, აქვთ კი მათ რამე საერთო ნამდვილ ექსპერტიზასთან, მეცნიერულ დასკვნასთან და ა. შ. არაკვალიფიციურ დასკვნებსა და უზუსტო გამოთქმებს კი უარყოფითი შედეგები მოაქვს და საქმეში ჩაუხედავ კაცსაც მცდარი შეხედულება ექმნება. სამწუხაროდ, ეკოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობისას პირადი (თუნდაც პროფესიონალური) ინტერესებიდან უფრო გამოვდგებით, ვიდრე საყოველთაოდან. ასე რომ არ იყოს, ჩემი ღრმა რწმენით, მრავალი პრობლემა დიდი ხნის მოგვარებული იქნებოდა და აღარც ამდენი დრო, ენერგია თუ სახსარი დაიხარჯებოდა. ჩვენში ისეთი ეკოლოგიური პრობლემებიცაა, თითქმის რომ არ ექცევა ყურადღება. ავიღოთ, თუნდაც მსხვილ სამეურნეო ღონისძიებათა შედეგების პროგნოზირება, გარემოს მონიტორინგი, ოშვიათ და გადაშენების პირამდე მისულ მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიური შესწავლა, ეროვნული პარკების, ეტალონური ნაკვეთების, ნაკრძალების მოვლა-პატრონობა და ა. შ. ეკოგანათლების მხრივ ხომ ბევრად ჩამოვრჩებით. არადა, ამ პრობლემებზე ნიადაგ უნდა ვმსჯელობდეთ ყველგან, აუდიტორიებსა თუ ღია ცის ქვეშ, ფართო პროპაგანდას უნდა ვუწევდეთ და მთელი შესაძლებლობით ვიყენებდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

— არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას ხშირად კრიზისულს უწოდებენ. არსებობს კი, ახე ვთქვათ, რაღაც ეკოზღვარი, რომლის იქით ყოველად უძლურნი აღმოჩნდებით?..

— დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ უარყოფითი მოვლენების შემდგომი გაგრძელება გამოიწვევს შეუქცევადი პროცესების განვითარებას, რასაც, შესაძლოა, მართლაც მოყვეს კატასტროფა. ამერიკელი მეცნიერის კოულს მტკიცებით, ქვეყნის მრეწველობა იმაზე გაციალებთ მეტ ენგბადს ხარჯავს, ვიდრე შეერთებული შტატების მთელი ტერიტორიის მცენარეულ საფარს შეუძლია გამოიმუშავოს. თითქმის ამდენივე ენგბადი იხარჯება 120 მილიონამდე ავტომანქანის მიერ. კრიზისულია თუ არა ასეთი მდგომარეობა? სამედიცინოდ, შეუქცევად პროცესებამდე ჯერ კიდევ არ მისულა საქმე. გვერდით ხომ ოკეანეა, რომელიც პლანეტის ენგბადის საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს გამოყოფს. მიუხედავად ამისა, ამერიკელი მეცნიერის დაკვირვებანი ფრიად სერიოზული და საგანგაშოა. ენგბადის შემცირებასთან ერთად, ატმოსფეროში მკვეთრად მატულობს მავნე გაზის — ნახშირორჟანგის შემცველობა. კატასტროფულად იზრდება ინდუსტრიალიზაციის ნარჩენები — გაზობრივი, მკვრივი თუ თხევადი. ამგვარ პირობებში არამც თუ ტყის უთავბოლო კაფვა, ერთი ხის მოჭრაც კი უმძიმესი დანაშაულია! ჩვენში კი დაახლოებით 600.000 ჰექტარი ტყეა განადგურებული წლების მანძილზე!...

— აგერ, ჩვენ თვალწინ გაჩნდა ახალი ტერმინი — ეკოლოგიური საჯაროობა! იგი ხახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გაისმა და, მართლაც, რომ, ძალზე აქტუალურად ეღერს. არც ჩვენ გვაწყენდა ამგვარი საჯაროობა.

— ყოველგვარ საჯაროობას ახლავს დადებითი ძვრები, მით უმეტეს, ეკოლოგიურს. ამ ათიოდე წლის წინ რომ დასმულიყო ტრანსკავკასიის საუღელტეხილო გზის „დადებითად“ და უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა. სმბგიერიოდ კი დღეს, საჯაროობის პირობებში, შესაძლოა, მრავალ არაფრისმომცემ ობიექტზე გვეთქვა უარი. საჯაროობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მას ეროვნული ინტერესები, პრინციპულობა და ოპერატიულობა უმაგრებს ზურგს. რა ხანია გრძელდება პოლემიკა ხუდონჰესის ირგვლივ. მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის, მეცნიერთა, სპეციალისტთა და ფართო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა, პრობლემა მაინც გადაუჭრელია. როგორც ჩანს, სწორი დასკვნამდე ნელა მივდივართ, მეტისმეტად ვაქიანურებთ სავსებით აშკარა პრობლემების გადაწყვეტას, იშვიათად ვსწავლობთ წარსულს შეცდომებიდან, ძნელად ვეჩვევით ეკოლოგიურ აზროვნებას და არ ვუფიქრდებით, რა შედეგი შეიძლება მოყვეს ჩვენს მოქმედებას. თითქოს ტრადიციად იქცა: ვაშენებთ, ვკაფავთ, ვაფეთქებთ და გვიანღა ვფიქრობთ იმაზე, იყო კი აუცილებელი ყოველივე ეს? დღეს მეტი კატეგორიულობა გვმართებს: ობიექტებზე (წყალსატევები, კაშხალები, გვირაბები და სხვ.), რომლებიც სერიოზულ ცვლილებებს იწვევენ გარემოში, საერთოდ უნდა ვთქვათ უარი. აქ კი მართლაც ეკოლოგიური საჯაროობა გვმართებს.

— როგორ გესახებათ ეკოლოგიის როლი გარემოსდაცვითი პროპაგანდისტების მოგვარებაში?

— გარემოს დაცვასა და ეკოლოგიის ხშირად აიგივებენ, რაც სრულიად გაუმართლებელია. გარემოს დაცვა — ესაა ღონისძიებათა კომპლექსი ბუნებაში წონასწორობის შენარჩუნების, ანდა დარღვეული წონასწორობის აღდგენის მიზნით. მაგრამ ეს პროცესი მეცნიერულ კანონზომიერებებს უნდა ექვემდებარებოდეს. ეკოლოგია კი გარემოში მოქმედებას გვასწავლის. თავდაპირველად ეკოლოგიას განმარტავდნენ, როგორც მეცნიერებას ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რაც დღესაც ძალაშია. მაგრამ რადგან გარემო ადამიანის მძლავრ ზემოქმედებას განიცდის, აუცილებელია ტექნიკის განვითარების ინტერესები ბუნების ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებას შეესაბამებოდეს. ამდენად, თანამედროვე ეკოლოგია შეიძლება დავახასიათოთ როგორც ინდუსტრიული საზოგადოების ბუნებაზე სწორი ზემოქმედების თეორია, გარემოს დაცვის საფუძველი. ეკოლოგია გვასწავლის, რომ მეცნარეები, ცხოველები და მიკროორგანიზმები, გარემოს არაცოცხალ ფაქტორებთან ერთად, სხვადასხვა ტიპის თანასაზოგადოებებს ქმნიან. ასეთი თანასაზოგადოება კი შეიძლება შევადაროთ რთულ მანქანას, რომლის ყველა ნაწილი ერთნაირად აუცილებელია მისი ნორმალური მუშაობისათვის. ვერც ცოცხალ ორგანიზმთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობანი იარსებებენ ნორმალურად, მათი ცალკეული რგოლები თუ დაზიანდა. ეკოლოგიის ეს ძირითადი პრინციპი ყველგან და ყოველთვის მოქმედებს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ადამიანთა საზოგადოების განვითარების დონე, ამ პრინციპისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია. 60-იან წლებში ჟურნალ „ტაიმში“ ფართოდ ირჩეოდა ახალი პანამის არხის გაყვანის შესაძლებლობა წყალქვეშა აფეთქებების გზით. ეკოლოგებმა შეძლეს ამ უგულვარი პროექტის გაბათილება და მსოფლიო ოკეანეც გადარჩა! წინაადმდეგ შემთხვევაში, ზღვის პროდუქტებზე არა მხოლოდ ჩვენ უნდა გვეთქვა უარი, არამედ შვილიშვილებსაც. იაპონიაში დიდი ხანია მოქმედებს მრავალსაფეხურიანი ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომლის გარეშე არამც თუ გვირაბი ან წყალსატევი, სახლიც კი ვერ აშენდება. ამ მხრივ კი სხვა ქვეყნებსაც ბევრად ჩამოვრჩებით.

— ეკოლოგიური ექსპერტიზა ახსენეთ. გვაქვს კი ამის პრაქტიკა? იქნებ, ხელაც ამით დაგვეწყო ეკოლოგიური საჯაროობა.

— კარგი იქნებოდა. ეკოლოგიური ექსპერტიზა ხომ გარემოზე ზემოქმედების წინასწარ ანალიზსა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებას ნიშნავს. აქ კი ნამდვილად არ გვაწყენდა საჯაროობა. სამწუხაროდ, ჩვენში არ არსებობს ამის პრაქტიკა, რაც სავსებით, მიუტევებელია. ეკოლოგიურ ექსპერტიზას უნდა ანხორციელებდეს სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომპეტენტური კომისია. მანვე უნდა გადაწყვიტოს თითოეული ღონისძიების შესაძლებლობა, რაც კი გარემოზე ზემოქმედებას გულისხმობს. ცხადია, ასეთი კომისიის არსებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მას მინიჭებული ექნება უზენაესი უფლება და მის გადაწყვეტილებას სხვა ინსტანცია ვერ შეცვლის.

— კიდევ რომელი ეკოლოგიური პრობლემა მიგაჩნიათ სადღეისოდ განსაკუთრებით აქტუალურად?

— ეკოლოგიური განათლება, რომელიც ახლაღა იდგამს ფეხს ჩვენში. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია სწორი ეკოლოგიური აზროვნების კულტურას, რაც, პირველ რიგში, განათლებასთანაა დაკავშირებული. ეკოლოგიურ აზროვნებაში კი ბუნებრივი მოვლენებისადმი დამოკიდებულებას ვგულისხმობ — თავისი მიზეზ-შედეგობრივი პრინციპით. ასეთი აზროვნების უნარი ბავშვობიდანვე უნდა ყალიბდებოდეს. მაგრამ ჩვენს სკოლებში, განსაკუთრებით კი დაბალ კლასებში, მოსწავლეები მშრალ ფაქტობრივ მასალას ითვისებენ ბოტანიკასა და ზოოლოგიაში, რაც მოზარდს არამც თუ ეკოლოგიის, თვით ამ საგნების მიმართაც კი ვერ უღვიძებს სათანადო სიყვარულს. ის ერთობ მცირე განაკვეთი, რომელიც ეკოლოგიას ეთმობა სასკოლო პროგრამაში, სუსტაცაა და შეზღუდულიც. იგი ვერა და ვერ აღწევს ძირითად მიზანს — განუვითაროს ყმაწვილს მართებული დამოკიდებულება ბუნების მიმართ, დაანახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბუნებრივ მოვლენებს შორის, ზოგადად მაინც აზიაროს ძირითად ეკოლოგიურ პრინციპებსა თუ კანონებს და ა. შ. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ პრინციპულად უნდა შეიცვალოს სწავლება დაბალ კლასებში. ბიოლოგიური საგნები, რომლებსაც ისინი ითვისებენ, ეკოლოგიის ძირითადი პრინციპების საფუძველზე უნდა შეისწავლებოდეს. ამას კი სასწავლო პროგრამის ღრმა ანალიზი და საფუძვლიანი გადამუშავება სჭირდება, რაშიც თავიანთი წონადი სიტყვა უნდა თქვან ეკოლოგებმა.

ესაუბრა
ლაშა გახარია.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში

პირველი ნაბიჯები

დროს მოიტანა და სულ უფრო ფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები საერთაშორისო სფეროში. ამის კვალობაზე თვალსათლივი, ხელშესახები ხდება საქართველოს საქმიანი ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. იგი ორმაგი ეტიკეტია ერთგვის სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების, კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, ჰუმანიტარული კავშირის განმტკიცების პროცესში.

იდება კონტრაქტები სხვადასხვა კომპანიასთან, ვსწავლობთ საერთაშორისო კომერციას. ეს არ არის იოლი და უბრალო საქმე. სწორედ უცხოელთან მოქმნილი კომერციული ურთიერთობით და დაუზოგავი შრომით დაიწყეს თავი ჩამორჩენილობას, სხვებს დაეწიენ და გაუსწრეს კიდეც სინგაპურმა, ტაივანმა, მალაიზიამ, სამხრეთ კორეამ... ყოველივე ამას საერთაშორისო სამბანკო საქმის, მარკეტინგის — ბაზრის კონიუნქტურის ღრმა ცოდნა სჭირდება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ რას აწარმოებს, რას ყიდის და როგორ ყიდის.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. მშვენიერი მატონიზებელი ნატურალური სასმელი „ბაზმარო“ ჯერჯერობით ვერ გაგვიტანია საერთაშორისო ბაზარზე, რადგან ეს ბაზარი დაპყრობილი აქვს სინთეზურ „კოკა-კოლას“, „ფანტას“, „პეპსი-კოლას“ და სხვ. ამ ფდწევის, ერთობლივი საწარმოების მომგებიანად ორგანიზების გზები ფართო განათლების ეკონომისტებმა, ეკონომისტ-ორგანიზატორებმა—მენეჯერებმა უნდა გაგვიკაფონ. ეს საქმეა—მენეჯერობაც, ფაქტობრივად, სრულიად უცხობი ჩვენთვის. მხოლოდ ახლა ვეუფლებით მის ანაბანას. სხვაგვარად ჩვენი ეკონომიკური აღორძინება, საქართველოს ბანკის წამოწყება შეუძლებელია. უნდა ვისწავლოთ ღრმად, კვალიფიციურად.

ამ რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ ავსტრიის უმსხვილეს ბანკთან „ცენტრალშპარკასე“ უნდ კომერციალთან“ მიღწეულია შეთანხმება: იგი 6-თვიან სტაჟირებაზე მიიღებს 3 ქართველ სპეციალისტს, სამბანკო საქმის, მარკეტინგის, სხვა საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გამოკვლევების შესასწავლად. გამოცხადდა ეკონომიკისა და ფინანსების დარგის 35 წლამდე ასაკის, გერმანული ან ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტთა კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის სურვილი 32 კაცმა გამოთქვა. კანდიდატურების შესარჩევად შეიქმნა სპეციალური კომისია საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის, სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, მენეჯერთა სკოლის წარმომადგენელთაგან.

32 კანდიდატი... ნახევარი მათგანი გასაუბრებაზე არც გამოუძახიათ; შრომითი საქმიანობის პროფილით არ შეესატყვისებოდნენ სტაჟირების მიზანს — საბანკო საქმის, მარკეტინგის, სხვა საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გამოცდილების შესწავლას. გამოკითხულთა [illegible] ნახევარი დაიწუნეს, ვინ [illegible] ენის არასამარისი ცოდნის გამო, ვინ პროფესიული თვალსაზრისით.

საბოლოოდ სამი კანდიდატი შერჩა: სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის მთავარი ეკონომისტი დავით მღებრიშვილი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით კურტანიძე და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის სექტორის გამგე მერაბ კაკული.

თითოეული კანდიდატურა დაწვრილებით შეისწავლეს, მათ ხომ დიდი მისია ეკისრებათ — რესპუბლიკის საბანკო საქმის შემდგომ განვითარებაში, ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში წვლილს შეტანა. ამას, ცოდნის გარდა, კიდევ ბევრი რამ სხვაც სჭირდება. ამიტომ დამამახსოვრდა [illegible] „ვიტელთან“ საკავშირო და საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი ბუნებრივი და მინერალური წყლების გამოყენების თაობაზე. იუნიდო „ვიტელი — საქართველოს“ ურთიერთობის გარანტობას კისრულობს. არსებობს „ვიტელის“ მსგავსი კიდევ რამდენიმე პროექტი, რაც რესპუბლიკას დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს.

16 მაისს სსრ კავშირმა და იუნიდომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 18-22 სექტემბერს საქართველოში საერთაშორისო საკონსულტაციო თათბირის მოწყობის შესახებ კვების მრეწველობის, განსაკუთრებით, ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამუშავების საკითხებზე. ასეთი თათბირი პირველად ტარდება სსრ კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკაში, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღძრული საკითხის პრობლემურობის გამო. ჩამოვა 75 ქვეყნის ექსპერტი და თვით იუნიდოს დირექტორი. ეს საშუალებას მოგვცემს აქვე დავდოთ ხელშეკრულებები ერთობლივი ფირმების შექმნის შესახებ, შემოვიტანოთ ახალი ტექნოლოგია, — გვითხრა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ჯავახიშვილმა.

შემთხვევითი ვისარგებლეთ, და მინისტრს ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა სიახლეზე — საქართველოს წრმომადგენლობაზე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, ამ ცნობამ საზოგადოებრიობის ცხოველი დაინტერესება გამოიწვია. აი რა გვითხრა მან.

— სსრ კავშირის იორანის, ბურქეთის, იტალიის, ავსტრიის, საფრანგეთის, გფრ-ის, აშშ-ის საელჩოებში იმსახურებს თითო ქართველი დიპლომატი, მათს კომპეტენციაში შევა ის ქვეყნებში საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და სხვა ინტერესების დაცვა. ისინი, მუდმივი როტაციის უფლებით, ამ ურთიერთობის კოორდინატორები იქნებიან, იმოქმედებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მითითებებით, რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად. ეს წლის ბოლომდე გეგმორიელებდა.

არაერთი ქვეყანა თხოულობს სხვადასხვა ხასიათის წარმომადგენლობის გახსნას საქართველოში. პოლონეთის ელჩმა სსრ კავშირში ვლადიმერ ნატორფმა (იგი, სხვათა შორის, ქართველთა სიძეა — ცოლად ჰყავს ბათუმელი გალინა გადელია) უკვე გვაცნობა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული წარმომადგენლობის გახსნის სურვილი. უნგრეთს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან უკვე აქვს სავაჭრო წარმომადგენლობა. ამასვე აპირებენ თბილისის დამობილებული პარტნიორი ქალაქები.

საქართველო იძენს საგარეო პოლიტიკურ უფლებებს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

ალეკო ასლანიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲝᲑᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲐ

ᲮᲣᲗᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ

ᲡᲙᲙᲐ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობას დაგეგმილი აქვს გამოუშვას ხუთტომეული კრებული „უკანასკნელი წერილები ფრონტიდან“. მასში შევა დაღუპული ფრონტელების, პარტიზანების, იატაკქვეშელების, საკონცენტრაციო ბანაკების ტუსაღთა წერილები.

ხუთტომეულის გამოცემის შესახებ შარშან წერდნენ გაზეთები, რედაქციაში, რომელიც ამზადებს კრებულს, მუზეუმებმა, სამხედრო კომისარიატებმა, დაღუპულთა ნათესავებმა და ახლობლებმა გაგზავნეს ფრონტელთა დაახლოებით 3 ათასი წერილი. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკიდან ჯერჯერობით ძალიან ცოტა წერილი გაიგზავნა. ხოლო პირველი ტომისათვის (1941 წელს დაღუპულები) პრაქტიკულად არ არის წერილები.

ამ გამოცემაში ვარაუდობენ უჩვენონ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა და ეროვნების წვლილი მტერზე გამარჯვების მიღწევის საქმეში. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ რესპუბლიკის ომის ვეტერანებს, ისტორიკოსებს, მუზეუმებისა და სამხედრო კომისარიატების მუშაკებს, ჟურნალისტებსა და მწერლებს, ვინაიდან დაღუპულთა წერილებს (უნდა აღინიშნოს ვინ, რომელი ფრონტიდან და ვის სწერდა) უნდა ახლდეს კომენტარები, წერილები, ინტერვიუები, ილუსტრაციები, რომლებიც ასახავენ ფრონტელთა საბრძოლო გზას, მათი ოჯახებისა და ახლობლების ბედს. ყველა წერილი მფლობელს დაუბრუნდება.

ხუთტომეულის რედაქციასთან შემოქმედებითი კავშირის დამყარებისათვის მასალები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

127157, მოსკოვი, კომუნის მოედანი 2, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლი. კრებულის „უკანასკნელი წერილები ფრონტიდან“ რედაქცია. ტელეფონები: 941-31-84, 941-40-66.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ)



ᲗᲣᲨᲔᲗᲘ. ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲚᲛᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ: ᲡᲐᲨᲠᲘᲗᲮᲔ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲚᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲚᲛᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲯᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ? ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ თუ არა ᲥᲐᲗᲛᲘᲡ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲬᲐᲛᲐ?

ᲐᲛ ᲨᲔᲙᲗᲮᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲛᲝᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲐᲚᲐᲕᲐᲛ: ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲐᲚᲐᲕᲐ.

— სატმონელეზი ახალი სენი არ არის. მისი გამომწვევი მიკრობი ჯერ კიდევ ასიოდე წლის წინათ გამოყვეს. ყველაზე ხშირად იგი გვხვდება ქათმის ხორცში, ანდა კი, როგორც ეგირკვა, ქათმის კვერცხშიც. დაავადების ძირითადი სიმპტომებია — მაღალი სიცხე, გულისრევის გრძნობა და კუჭის ამლა.

უკანასკნელ ხანს მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ამ ინფექციის შემოტევა, რომელსაც გვერდი არც საბჭოთა კავშირისათვის აუვლია. მაგრამ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში ამ თვალსაზრისით ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია. აი, უკვე რამდენიმე წელია ჩვენთან არ ყოფილა სალმონელეზის აფეთქების არც ერთი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული ყოფილიყო ქათმის ხორცთან ან ქათმის კვერცხთან.

— **როგორ გესახებათ ეკოლოგიური ექსპერტიზა ახლანდელ პირობებში?**

— ეკოლოგიური ექსპერტიზა ნებისმიერ ეროვნულ საზოგადოებრივი კვების ობიექტებისადმი, ვეტერინარულმა სამსახურმა კი ძაღლებში მიღებული ფრინველის ხორცისა და კვერცხის ხარისხისადმი. რეგულარულად ეწყობა პროფილაქტიკური ღონისძიებანი მეფრინველეობის ფაბრიკებში. სხვათა შორის, სწორედ ამ დღეებში რესპუბლიკის მთავარი საველტერინარო სამმართველოს სპეციალისტების მიერ განხორციელებულ გამოკვლევას ნორიოსა და თბილისს მეფრინველეობის ფაბრიკებში არ გამოუვლენია სალმონელეზის გამომწვევი არც ერთი შემთხვევა.

მაგრამ სიფრთხილის ზომების მიღება საჭიროა. დაავადების პროფილაქტიკის მიზნით რესპუბლიკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა დროებით აკრძალა იმ სასურსათო პროდუქტების გამოშვება, რომლებშიც გამოყენებულია უმი კვერცხი.

მაგრამ უკიდურესობის არ უნდა მივეცეთ. ქათმის კვერცხი და ხორცი სრულფასოვანი და საჭირო საზრდოა. ცელსიუსით ასი გრადუსის დროს სალმონელეზის მიკრობი იღუპება. მაშასადამე, საჭიროა პროდუქტების ხარისხიანი თერმული დამუშავება. მოხარშული კვერცხი, ისევე როგორც კარგად მოხარშული ხორცი, სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის. და, რა თქმა უნდა, მკაცრად უნდა დავიცვათ პირადი ჰიგიენის წესები.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲠᲝᲡᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡ

ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ საყოველთაოდაა აღიარებული: ამ ბოლო დროს არც ერთ ქართულ კინოფილმს არ გამოუწვევია ისეთი ვნებათაღელვა, როგორც ამ ფილმმა. გადაღების ადგილი და თარიღიც თბილისი, 9 აპრილი, მოედანი მთავრობის სახლის წინ. ფილმის ავტორია ოპერატორი გიორგი ხაინდრავა. ფირი, რომელმაც აღბეჭდა აპრილის ტრაგედიის მოვლენები, დღეს არის, იურიდიულ ენაზე, რომ ვთქვათ, „ნივთიერი საბუთი“ იმ საშინელი ღამისა, რომელიც საქართველოს ისტორიის მატიანეში ჩაიწერება, როგორც საზარელი დანაშაული.

და რა ამაღელვებელი კადრები აღბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეთას“ მიმომხილველის იური როსტის ფოტოობიექტივმა — უტყუარი ამბავი ტრაგიკული ღამის შესახებ. დღეს კიდევ ერთხელ გვნდა გავიმეოროთ საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის გამგეობის თავმჯდომარის, აკადემიკოს დმიტრი ლიხაჩოვის სიტყვები, წარმოთქმული ამ ამბების შემდეგ სულ მალე ლენინგრადში სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის საქალაქო განყოფილებისა და ლენინგრადის რუსთაველის საზოგადოების მიერ გამართულ საღამოზე. „მე ვამაყობ ჩვენი ჟურნალისტიკით, — თქვა მხცოვანმა მეცნიერმა ფილმის ნახვისა და ფოტომასალების გაცნობის შემდეგ. ხელკეტებით ნაცემმა ჟურნალისტებმა მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალი, ისინი გმირებად მიმაჩნია!“.

ამ დახასიათებას არ შეიძლება არ დაეთანხმო. ასე ფიქრობს ყოველი ადამიანი, ვინც გაეცნო ამ დოკუმენტურ მასალას. „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობამ, მისმა კოლექტივმა აღნიშნა ეს გმირული საქციელი და დაწესა ხათია ბაშალეიშვილისა და თამრიკო ჭოველიძის — იმ საშინელ ღამეს დაღუპული ორი შესანიშნავი ქალიშვილის სახელობის პრემია. ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ეს პრემიები მიენიჭათ იური როსტსა და გიორგი ხაინდრავას.

პრემიების გადაცემის ცერემონიაზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რეზო ჩხეიძემ მადლიერების სიტყვებით მიმართა გიორგი ხაინდრავას თავისი მოქალაქეობრივი ვალის ვაკაცური მოხდისათვ